ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 46

"2" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და სს „თელასს" შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისა და საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დარიცხული ან/და დასარიცხი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ვ"ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის N16.09.190 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების 4.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო დარიცხული ან/და დასარიცხი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან სს „თელასის" გათავისუფლებაზე, იმ პირობით, თუ სს „თელასის" მიერ 2015 წლის თებერვლის ჩათვლით, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზების მონტაჟის სამუშაოების წარმოებაზე ნებართვის გაცემის შემთხვევაში, ტექნიკური მოთხოვნების სრულად შენარჩუნებით, უზრუნველყოფილი იქნება დაბა წყნეთის საიმედო ელექტრომომარაგება ქვესადგური „ბაგებიდან" სამი 6 კვ. ძაბვის საკაბელო ტრასის (ელექტრო გადამცემი ხაზის) მშენებლობით, რომლის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 1 200 000 ლარს.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი